MES 2 22 0001277376

11/10/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი : 27.09.2022
სხდომის დაწყების დრო : 14:10 სთ
სხდომის დამთავრების დრო : 17:54 სთ
საბჭოს თავმჯდომარე : გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: ეკატერინე ნაცვლიშვილი (I, II, III, V საკითხი)
სხდომის მდივარი: მაკა კაჭარავა (IV საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
4. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ერეკლე ასტახიშვილი -** შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
6. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
7. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

8. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
12. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
13. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ვალერი ჯაჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	დიანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ჯახველაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ია ფანცულია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნონა ზუბიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ირინე დარჩია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
12	თინათინ ხიმშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	პაატა გერაძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტისხარისხის უზრუნველყოფისსამსახურისუფროსი	I
3	თემურ კოჩაძე		"სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.	I
4	თემურ ჩილაჩავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
5	ოთარ ჭკადუა		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
6	რომეო გალდავა		ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
7	ზვიად როგავა	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის დეკანი	III
8	დავით ბოსტოღანაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
9	ვახტანგ ლეჟავა	ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	რექტორი	V
10	ნათია სამუშია		პრორექტორი	V
11	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	V
12	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	V
13	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	V
14	თამარ გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	V
15	შაკო თავაძე		დეკანი	V
16	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	V
17	მარიამ ჯაფარიძე		საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	V
18				V

	ლევან ტატიშვილი		თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	
19	მაგდანა ქობალია		თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი	**V**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,გამოყენებითი მათემატიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,ფარმაციის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის,,თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,გამოყენებითი მათემატიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,ფარმაციის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის,,თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	არააკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№318812, 02.04.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზრდობის გამზ., №89; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №7, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ვალერი ჯაჯანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა მინდინარე წლის 19 და 20 ივნისს, შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. თავმჯდომარემ წარადგინა ექსპერტთა შემადგენლობა, რომელშიც მასთან ერთად შედიოდნენ მამუკა ბენაშვილი, თამარ გვიანიშვილი და ბაქარ დუაძე. დაამატა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მზაობა, რომ ექსპერტებს მიეღოთ ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც საჭირო იყო აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა არის დოქტორანტურის და მისი სტრუქტურა წარმოდგენილია ორ კომპონენტად. უმეტესი ნაწილი არის კვლევითი კომპონენტის, ხოლო სასწავლო კომპონენეტს ეთმობა 55 კრედიტი, მათ შორის კი არის ძირითადი და სასწავლო კურსები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აქვე დაამატა, რომ პროგრამამ დასახელება შეიცვალა კვალიფიკაცია კი იგივე დარჩა. აღნიშნა, რომ 2012 წლიდან 22 დოქტორანტი სწავლობდა ამ პროგრამაზე, მათ შორის კი 12-ს მინიჭებული აქვს დოქტორის კვალიფიკაცია. რაც შეეხება აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობებს და გაცემულ რეკომენდაციებს: ექსპერტის თქმით:
1-ლი სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან, რამდენადაც ქვესტანდარტი 1.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომ მიზანშეწონილია პროგრამის მიზანში არსებული ჩანაწერი პედაგოგიური საქმიანობის დაუფლება დაკორექტირდეს, რათა პროგრამის მიზანი ნათლად და სრულფასოვნად იქნეს წარმოდგენილი. აქვე დაამატა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას დაეთანხმა დაწესებულება და ექსპერტის ინფორმაციით მათ უკვე მოახდინეს მიზნის ცვლილება.
ქვესტანდარტი 1.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება ''ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.'' აღნიშნა, რომ ძირითადი აქცენტი გააკეთეს იმაზე, რომ არ იყო გამოკვეთილი თუ რა ტიპის პედაგოგიურ საქმიანობაზე იყო საუბარი. შესაბამისად, ინჟინერიის კვალიფიკაციით რთულია პედაგოგიურ საქმიანობაზე საუბარი. აქვე დაამატა, რომ მისი ინფორმაციით, ამ რეკომენდაციაზეც მოხდა აღნიშნული ჩანაწერის ცვლილება სწავლების შედეგებში ადმინისტრაციის მიერ.
რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, ,,სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა,'' შეფასდა როგორც, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ქვესტანდარტი 2.1, 2.2, 2.4, 2,5, შეფასდა როგორც შესაბამისობაში

მოთხოვნებთან. ხოლო ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო კურსი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით კი გაიცა რეკომენდაცია, პირველი სასწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მიეთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა იმ შემთხვევაში თუ მითითებულია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მაგრამ კურსის განმახორციელებელი არ ფლობს ან არასაკმარისად ფლობს ინგლისურ ენას, ამ საკითხზეა საუბარი პირველ რეკომენდაციაში . რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ეს არის - სილაბუსი,,პედაგოგიური პრაქტიკა'' სწავლის შედეგების შესაბამისად მოხდეს ლიტერატურის მითითება და დაკორექტირება. დაზუსტდეს ასევე სწავლის შედეგები. ასევე, ქვესტანდარტი 2.6 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტებთან და გაიცა რეკომენდაცია. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო კურსის შეფასების სისტემა გაიწეროს თემატიკის და სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე. რამდენადაც, აღმოჩნდა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა თითქმის ერთგვაროვანი იყო. ამიტომ გაჩნდა ეს რეკომენდაცია, აღნიშნა ექსპერტმა .

რაც შეეხება მე-3 სტანდარტს ''სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა'' შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ქვესტანდარტები 3.1 და 3.2 შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

მე-4 სტანდარტი,,სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ''შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. რამდენადაც ქვესტანდარტები 4.2, 4.3 და 4.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ხოლო 4.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აქვე დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მიზანშეწონილია იმ პირებთან, რომლებიც მომავალში ჩაერთვებიან პროგრამის განხორცილებაში, გარდა მათი თანხმობის განაცხადებისა, ასევე გაფორმდეს წინარე ხელშეკრულებები, პროგრამის მდგრადობის მიზნებისთვის.

რაც შეეხება მე-5 სტანდარტს,,,სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები '' შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ქვესტანდარტები 5.1 და 5.2 სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ქვესტანდარტი 5.2 - გარე ხარისხის შეფასება, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დაამატა, რომ აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაცია ''უნდა მოხდეს გარე შეფასების პროცესში მიღებულ რეკომენდაციაზე სათანადო რეაგირება და შესაბამისი აქტივობების გატარება, რაც უზრუნველყოფს იმ მიზნის მიღწევას, რა მიზნითაც ეს რეკომენდაცია იყო გაცემული. საუბარია 2021 წლის საბჭოს გადაწყვეტილებაზე, როდესაც გადაწყვეტილებას თან ახლდა რეკომენდაციები და რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება არ მოხდა. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია გამოძახილია საბჭოს წინა გადაწყვეტილების - აღნიშნა ექსპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ესპერტს, თუ რას გულისხმობდა იგი შემდეგ ორ რჩევაში :

1) ,,სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია მოხდეს შეფასების სისტემის ქულათა რანჟირება რელევანტური კრიტერიუმებით.''

2) ,,მიზანშეწონილია ყველა სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევა და დამატება მოხდეს თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.“

ექსპერტმა პირველ რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებობდა ჩანაწერი შეფასების სისტემაში, რომლის მიხედვითც 1 ქულით ფასდება პრეზენტაცია, რომელიც არ შეესაბამება საკითხს. ასევე 1 ქულით ფასდება სტუდენტის პასუხი, რომელიც შესაბამისი არ არის კითხვასთან. აქვე დაამატა, რომ თუ სტუდენტის პრეზენტაცია და პასუხი არ მოდის შესაბამისობაში კითხვასთან, გაუგებარია 1 ქულით შეფასება. ხოლო მეორე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლა -სწავლების მეთოდები პრაქტიკულად ისე ჩანს, რომ არ არის მორგებული სწავლების თემატიკას. აქვე დაამატა, რომ აქ არის უმეტესად საინჟინრო მიმართულება და აღნიშნა, რომ მეტად უნდა იყოს სასწავლო კურსის სილაბუსებში კონკრეტული საკითხიდან გამომდინარე სწავლა-სწავლების მეთოდები სპეციფიკურად წარმოდგენილი .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ღრმა პატივისცემა გამოხატა მის მიმართ. დაამატა, რომ ეთანხმებიან ყველა რჩევას და რეკომენდაციას, რამდენიმე კი უკვე გაითვალისწინეს კიდეც. მან ასევე ისაუბრა პროგრამის მიმართ გაცემულ ორ რეკომენდაციაზე. აღნიშნა, რომ მათთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები აქამდე არცერთ პროგრამაზე არ იყო, თუმცა უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამუშაო ვარიანტი წინარე ხელშეკრულებების, რომლებსაც უახლეს აკადემიურ საბჭოზე განიხილავენ, დაამტკიცებენ და მომავალში წარმოდგენილ პროგრამებში იქნება ოფიციალურად მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები. რაც შეეხებოდა ბოლო რეკომენდაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ შეხვედრას და ტრენინგს ატარებს აკადემიურ პერსონალთან, მათ ასევე დაგეგმეს სხვადასხვა ტრენინგები, რომელთაგან ერთ-ერთი უკვე განხორციელდა ამ სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, რათა მეტად მოხდეს გადამუშავება არსებული სილაბუსების, გაცემული რეკომენდაციების და ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების მიზნით.
პროგრამის ხელმძღვანელი თეიმურაზ კოჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციას ინსტიტუცია ეთანხმება და ექსპერტთა რჩევის შესაბამისად დაკორექტირდა ჩანაწერი და იქნება შემდეგი: ,,სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე გათვლილი სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებისათვის ტრანსპორტის დარგში ცოდნის გადაცემის უნარების გამომუშავება.'' რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, ფორმულირება მოხდება შემდეგი სახით ''გადასცემს სფეროს ცოდნას სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით .''
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აქ ექსპერტთა დასკვნის პროექტის განხილვის შემდეგ, პროგრამის სასწავლო კომპონენტის იმ განმახორციელებლებს, რომლებიც საკმარის დონეზე ვერ ფლობენ ინგლისურ ენას, დაევალათ მოკლე სალექციო კონსპექტების შედგენა შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებში. რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, სადაც საუბარი იყო პედაგოგიურ საქმიანობაში სწავლის შედეგების შესაბამისად ლიტერატურის მითითებაზე და სწავლის შედეგების დაზუსტებაზე, დაწესებულების წარმომადგენლები მას ეთანხმებიან და უკვე მოახდინეს ლიტერატურის დამატება, ხოლო სწავლის შედეგები ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:
1. ,,აანალიზებს სასწავლო პროცესიის ორგანიზების სხვადასხვა ფორმებს;“
2. ,,გეგმავს და წარმართავს სასწავლო პროცესს;“
3.,,სწავლის პროცესში იყენებს დარგის განვითარების შესახებ არსებულ თანამედროვე ინფორმაციას;“
4. ,,უზრუნველყოფს პროცესში სტუდენტთა ჩართულობას და უკუკავშირს;“
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობდა, სასწავლო კურსის შეფასების სისტემის გაწერას თემატიკის და სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლები მას ეთანხმებიან და პროგრამის შემმუშავბელი ჯგუფის გადაწყვეტილებით ცალკეული სილაბუსების ავტორებს მიეცათ რეკომენდაციები უმოკლეს ვადაში მოეხდინათ სილაბუსებში შეფასების სისტემის გადამუშავება თემატიკის და სწავლის სპეციფიკის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ ამ წელს მოხდება პირველ კურსზე დოქტორანტების მიღება, შეფასების პერიოდში დახვდებათ სახეცვლილი სილაბუსები, რომლებიც ექსპერტების რეკომენდაციის შედეგად იქნა მიღებილი .

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, უნივერსიტეტში უკვე დამუშავებულია წინარე ხელშეკრულების ფორმა, რომელიც გამოყენებული იქნება მოწვეული პერსონალის გასაფორმებლად განმახორციელებლების რანგში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა, საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მოსაზრებები

ქალბატონი მაკა კაჭარავა მიესალმა ინსტიტუციას და ექსპერტებს. მიმართა კითხვით ექსპერტებს, რამდენი სადოქტორო ნაშრომი,და/ან დაცული დისერტაცია დაათვალიერეს და რა შთაბეჭდილება დარჩათ და როგორ არის პროგრამაში უზრუნველყოფილი კვლევის ინტერნაციონალიზმის საკითხი, რომელ ინდექსირებულ ჟურნალებში ევალებათ დოქტორანტებს პუბლიკაციების გამოქვეყნება.

ექსპერტმა ქალბატონი მაკას კითხვას უპასუხა, რომ მოხდა დისერტაციების გადახედვა ექსპერტების მიერ. ისინი შესრულებულია საკმაოდ მაღალ დონეზე, რაც შეეხება მოთხოვნას. ექსპერტმა, ასევე, უპასუხა დასმულ კითხვას, დარგობრივი მიმართულებით ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირესთან დაკავშირებით. აღნიშნულს ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ამ მიზეზით სასურველია გამოყენებული იყოს არაქართულენოვანი ლიტერატურა, თუნდაც რუსული.

აქვე ქალბატონმა ირინა ლობჟანიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა მიღების წინაპირობა გულისხმობს თუ არა უცხო ენის მაღალ დონეზე ცოდნას. მისი აზრით B2 დონე სტუდენტებს აძლევს ამ ინგლისურენოვანი ლიტერატურის სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობას.

დაშვების წინაპირობებთან და გამონაკლის შემთხვევებთან დაკავშირებით ბატონმა თემურმა უპასუხა, რომ აუცილებლად B2 დონეზე უნდა ჩააბაროს აპლიკანტმა ან წამოადგინოს B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტი. შემდეგ ინიშნება სპეციალობის გამოცდა.

გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ სადოქტორო სწავლება პირდაპირ კავშირშია სადოქტორო კვლევებთან და ამ კუთხით წინასწარვე ხდება განსაზღვრა ჰყავს თუ არა დაწესებულებას შესაბამისი ადამიანური რესურსი. მოცემული დაშვების წინაპირობებით კი, ვერ დგინდება რა მიმართულებით აპირებს კანდიდატი კვლევის განხორციელებას. მაგალითად, კვლევის არეალი არ არის წარმოდგენილი პროგრამაში და მხოლოდ გამოცდების მიხედვით მსჯელობაა შესაძლებელი დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ მეორე შეკითხვა დასვა სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით. იგი გაეცნო სილაბუსს, სწავლება ხდება სატრანსპორტო მიმართულებით, უნივერსიტეტი იღებს კურსდამთავრებულებს, რომელთაც აქვთ ხარისხი ინჟინერიაში და სატრანსპორტო დარგის მიმართულებით და შესაძლებელია, შესაბამისი ცოდნა მაგისტრის ხარისხის მქონე აპლიკანტებს უკვე ჰქონდეთ. დაწესებულების სილაბუსები კი არ იძლევა შესაძლებლობას, დოქტორანტი კონცენტრირდეს უფრო მეტად კვლევით საკითხებზე და ნაკლებად თეორიაზე. მათ შორის კვლევის მეთოდების სილაბუსშიც ბუნდოვნად არის წარმოდგენილი რა მიმართულებით გადასცემს დოქტორანტს კონკრეტული სილაბუსის ავტორი ცოდნას. როგორც ექსპერტების, ასევე დაწესებულების მხრიდან საინტერესო იქნებოდა პოზიციის მოსმენა აღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიღების წინაპირობებში ეს არ არის გათვალისწინებული, მაგრამ მათ გათვალისწინებული აქვთ, რომ დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო კვლევითი სტატია გამოქვეყნებული თავისი ინტერესის მიხედვით. ან უნდა წარმოადგინოს მოკლე რეფერატი იმ კვლევებთან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც კვლევის განხორციელებას მოიაზრებს. როდესაც დოქტორანტი წარმოადგენს თავისი ინტერესის საკვლევ თემას, რომელიც უნდა იყოს შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ასევე დაწესებულება აცხადებს იმ თემებს თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს კვლევა. თუ დოქტორანტს თემა არ აქვს არჩეული, ამ შემთხვევაში დაწესებულება მას სთავაზობს წინასწარ განსაზღვრულ თემებს და დოქტორანტი მას ირჩევს სურვილისამებრ ხელმძღვანელთან ერთად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:57 სთ
დასრულების დრო: 16:13 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის და 6 თვის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება :
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის და 6 თვის ვადით.

მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი მათემატიკის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	არააკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №65, 18/05/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას №26, თბილისი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ მასთან ერთად ვიზიტზე იმყოფებოდნენ გიორგი დალაქიშვილი, გიგა ხოსიტაშვილი და ნინო ჯახველაძე. ექსპერტებმა განსაზღვრეს 9 რეკომენდაცია, რომელთაგანაც ძირითადი ნაწილი ეხება სამეცნიერო ბაზების გაუმჯობესების საკითხს პროგრამასთან მიმართებით. ასევე ერთმა საკითხმა გამოიწვია აღელვება ექსპერტებში, სადოქტორო პროგრამას ვადა გაუვიდა 18 მაისს და, შესაბამისად, ვერ იქნა უზრუნველყოფილი პროგრამის უწყვეტობა. თუმცა დაწესებულებისა და სტუდენტების თქმით, აღნიშნული შემაფერხებელი არ ყოფილა. სტუდენტებმა შეიჩერეს სტატუსი და პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში გააგრძელებენ სწავლას.
პროგრამა შინაარსობრივი თვალსაზრისით არის მაღალი ხარისხის, იგი ორიენტირებულია გამოყენებით მათემატიკის აქტუალურ საკითხებზე. ბოლო აკრედიტაციის პერიოდში დრეკადობის თეორიის კუთხით გაძლიერდა, ასევე რიცხვითი ანალიზის კუთხით. ჰყავს მაღალკვალიფიციური განმახორციელებელი პერსონალი, რომელიც ცნობილნი არიან დარგში და აქვთ აქტუალური თანამედროვე მიღწევები დარგში. ასევე ძლიერი და დარგში კარგად დამკვიდრებული კურსდამთავრებულები, რომლებიც აგრძელებენ სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა ინსტიტუციებში. შესაბამისად, როგორც სადოქტორო პროგრამა ძლიერია. თუმცა არის გასაუმჯობესებელი საკითხებიც.
გიგა ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა სამეცნიერო ბაზების გამოყენების საკითხს. ექსპერტის თქმით, მათ ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა ბიბლიოთეკაში ადგილზე გადაემოწმებინათ სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა. უმრავლეს შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული ვერსიები, რაც დასკვნაშიც მოცემული იყო. თუმცა სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტის შენობიდან.

შესაბამისად, ერთი რეკომენდაცია გაიცა იმასთან დაკავშირებით, რომ ინსტიტუციამ იმუშაოს ამ მიმართულებით და ასევე დარგისთვის რელევანტურ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის მოპოვების კუთხით. სტუდენტები ინტერვიუს დროს ძირითადად ასახელებენ, რომ ხელმძღვანელები აწვდიან მათ ლიტერატურას, თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კარგი იქნებოდა ინსტიტუციაც ჩაერთოს ამ კუთხით და მოიპოვოს წვდომა ისეთ ბაზებზე, რომელიც ამ მიმართულებით იქნება რელევანტური. ასევე რეკომენდაციად გამოიტანეს, რომ ბიბლიოთეკა მეტად ჩაერთოს სადოქტორო საფეხურის სტუდენტებთან მუშაობის კუთხით და დაგეგმოს სხვადასხვა ტრენინგი, რომელიც მათ დაეხმარებათ კვლევის განხორციელების ეტაპზე. ასევე რამდენიმე რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფას. ამ ნაწილში ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაცია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო მეტად აქტიურად აწარმოოს ვადების მონიტორინგი პროგრამის ადმინისტრირების თვალსაზრისით, რათა მსგავსი პრეცედენტი არ გამეორდეს.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა უცხოური ანალოგი პროგრამის მოძებნა და დადარება, რაც აიხსნებოდა იმით, რომ პროგრამა იმდენად უნიკალურია, რომ გართულდა უცხოური ანალოგიის მოძებნა. თუმცა ექსპერტები ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ამ მიმართულებით მეტად გააქტიურდეს ინსტიტუცია, რაც რეკომენდაციაშიც აისახა.

რაც შეეხება 4.1 რეკომენდაციას, ეს რეკომენდაცია განპირობებულია იმით, რომ მოხდა აკადემიურ პერსონალთან გადამოწმება, თუ რამდენად ჰქონდათ ინფორმაცია როგროც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს, პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ბატონი რომეო გალდავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. დაამატა რომ მოსამზადებელი პერიოდი დაემთხვა პანდემიის პერიოდს, ხელმძღვანელები და ჩართული პერსონალები ინტენსიურად ვერ მუშაობდნენ და სწორედ ამით იყო გამოწვეული პროგრამის შეფერხება. ამასთან დაკავშირებით კი ყველა იყო ინფორმირებული, სტუდენტებმაც იცოდნენ, რომ სტატუსი შეუჩერდებოდათ. როგორც კი პროგრამა აკრედიტაციას გაივლის მათ სტატუსი ჩვეულებრივ განახლდება. საუბარია ორ აქტიურ სტუდენტზე. რაც შეეხება ლიტერატურას, ისინი იყენებენ ღია ბაზას ევროპული მათემატიკური საზოგადოების, რომელიც ხელმისაწვდომია. დანარჩენი რეკომენდაციები კი დაწესებულებისთვის მისაღებია, აღნიშნა რომეო გალდავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მისი თქმით იგი არ დაეთანხმა რეკომენდაციას, რომელიც დისერტაციის გაფორმებას ეხებოდა, რატომ თვლის დაწესებულების წარმომადგენელი რომ ეს არის რჩევის ხასიათის. რაზეც ბატონმა რომეომ უპასუხა, რომ მათ აქვთ წესი და წესის მიხედვით არის დისერტაციები წარმოდგენილი. თვლის რომ დისერტაცია თავისი შინაარსით, ხარისხით და შედეგებით სათანადო დონეზეა და გაფორმების თვალსაზრისით რაიმე უზუსტობა კონკრეტულ შემთხვევას შეიძლება უკავშირდებოდეს და არა ინსტიტუციურ დონეზე რეკომენდაციის აუცილებლობას.

ექსპერტმა გიორგი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ დისერტაციაში აბსტრაქტი იყო მოცემული, ზოგიერთში არა. შესაბამისად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ეს წესის არარსებობის გამოა.

ასევე გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა მათემატიკის მიმართულებით რამდენად ხერხდება დოქტორანტების მიერ ჟურნალებში სტატიების პუბლიკაცია და რა პერიოდი სჭირდება დოქტორანტს, ძირითადად, საამისოდ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულის თაობაზე უპასუხა, რომ ყოფილ დოქტორანტთან, დღეს უკვე დაწესებულების თანამშრომელთან გია ფოჩხუასთან ჰქონდათ მსგავსი გამოცდილება. ასევე თანამშრომლობენ

ჟურნალთან,,Georgian Mathematics Journal.'' ბოლო 4 წლის განმავლობაში 2018-დან 2022 წლამდე მათთან დაცულია 4 დისერტაცია, რაც მისი თქმით, კარგი მაჩვენებელია, რადგან დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხი და არა რაოდენობა.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა შეკითხვა საშუალოდ რა ვადა სჭირდება იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებას. რაზეც დაწესებულებამ შემდეგნაირად უპასუხა. საერთაშორისო ჟურნალის შემთხვევაში საშუალო დრო სამი წელია. თუმცა ასევე, მათ პროგრამაში არის ისეთი მიმართულებები, რომლებიც შესაძლოა გამოქვეყნდეს რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომებში. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში გამოიცემა სამი ჟურნალი, რომელთაგან ერთი იმპაქტ-ფაქტორიანია, ხოლო ორი არის სკოპუსში გაერთიანებული. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე დაამატა, რომ ყოველწლიურად ტარდება საქართველოს მათემატიკის კავშირთა კონფერენცია ბათუმში, სადაც მათი დოქტორანტები და მაგისტრანტებიც იღებენ მონაწილეობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:34 სთ
დასრულების დრო: 16:41 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (**კლასტერის ვადა: 01/07/2027)** 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
14- მომხრე
0 - წინააღმდეგი
გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2027 წლის 01 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	06.08.2021 MES 9 21 0000776786,
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია-0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ. №59; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №11, ახალგაზრდობის პროსპექტი №98, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტი ია ფანცულაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ის რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც გაიცა გაზიარებულია. 7 რეკომენდაციიდან 4 რეკომენდაცია შესრულებული აქვს დაწესებულებას სრულად, ხოლო 3 რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მხოლოდ ერთი ნაშრომი იყო დაცული და, ძირითადად, რეკომენდაციები ეხებოდა სამეცნიერო კვლევითი მეთოდების გამრავალფეროვნებას და სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერებას სამაგისტრო პროგრამაში. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ დაწესებულებამ პანდემიის მიუხედავად გააძლიერა მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. სხვა მხრივ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაზიარებული აქვთ აღნიშნა ექსპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მოსაზრებები.
ხათუნა თოდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადობას და კითხვით მიმართა დაწესებულებასა და ექსპერტს. წელიწადზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც აკრედიტაცია მიიღო პროგრამამ და მისი ინფორმაციით, მხოლოდ ორი სამაგისტრო ნაშრომი იყო წარმოდგენილი და რა იყო აღნიშნულის მიზეზი. ასევე, იგი დაინტერესდა ამჟამად აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაცემული რჩევებისთვის და რეკომენდაციებისთვის. აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა საგამოცდო კომისიის წინაშე. სამმა ნაშრომმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები და შესაბამისად, განხორციელდა აღნიშნული ორი სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. ერთი არის სოციალური ფარმაციის მიმართულებით, მეორე - ფარმაკოლოგიის და კლინიკური ფარმაციის მიმართულებით. სამაგისტრო კვლევის შედეგად მიღებული შედეგები მან აუცილებლად უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში.
რაც შეეხება კითხვას აქტიურ სტუდენტებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე პირველ კურსზე ირიცხება 5 სტუდენტი, მე-2 კურსზე - 2 სტუდენტი და სამს შეჩერებული აქვს სტატუსი.
ქალბატონმა ხათუნამ კომენტარის სახით აღნიშნა, რომ მისთვის ცოტა გასაკვირია, რომ პრაქტიკულად სამაგისტრო ნაშრომი მოწოდებულია როგორც,,case study" და ნაშრომი მხოლოდ ერთ პაციენტზე დაკვირვებით არის შესრულებული. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა შემდეგნაირად უპასუხა, რომ ეს საკმაოდ დიდი ღირებულების მქონე ნაშრომი, ვინაიდან უშუალოდ ეხება სიმსივნის (მელანომის) მკურნალობაში პრაქტიკულად დანერგვის პოტენციალის მქონე პრეპარატებს, რომლებმაც აჩვენა კარგი შედეგები სიმსივნის რემისიაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:52 სთ
დასრულების დრო: 16:58 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
14- მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე **სსიპ -** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეოთხე საკითხი.შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №100, 18.08.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, შატილის ქ. №4, 0178; აღმაშენებლის ხეივანი, ირინა ენუქიძის №6, 0159.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნონა ზუბიტაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის შედეგების კლასიფიკატორთა შესაბამისობის თაობაზე არაგეგმიური მონიტორინგი. მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ასევე განხორციელდა ონლაინ დათვალიერება მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, რომლის ფარგლებშიც გაეცნენ საბიბლიოთეკო ფონდს, ასევე ბაზებს და შესაბამის რესურსებს. აღნიშნული შეფასების ფარგლებში ექსპერტების მიერ დადგენილ იქნა, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს, ასევე თავად აკრედიტაციის სტანდარტებს იმ ნაწილში, რა ნაწილთა მიმართებითაც მოხდა ექსპერტების მიერ შემოწმება. ეს იყო პირველი სტანდარტი სრულად, მეორე სტანდარტი სრულად და მეოთხე სტანდარტის 4.1 და 4.2 ქვესტანდარტები. ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა ერთი რეკომენდაცია, რომელიც არის ტექნიკური ხასიათის, რადგან რამდენიმე დოკუმენტის ტექსტებს შორის არის აცდენა და საჭიროა, რომ შესაბამისობაში მოვიდეს. კერძოდ ეს ტექნიკური უზუსტობა ეხება გასაჩივრების პროცედურას. ექსპერტებმა, ასევე, გასცეს რამდენიმე რჩევა. არასავალდებულო ხასიათის რჩევაა, რომ არჩევითი სასწავლო კურსის, აკადემიური წერის სილაბუსი და კურსის სახელწოდება მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მოსაზრებები.
ბატონი დავითი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ მათი პოზიცია გამოხატულია არგუმენტირებულ პოზიციაში. საუნივერსიტეტო რეგულაციებში როდესაც შევიდა ცვლილება, მოგვიანებით აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში. და აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო რეგულაციები უფრო მაღალი დონის ლეგიტიმაციის მქონეა. შესაბამისად, ეს უზუსტობაც გასწორებულია დღეის მდგომარეობით და იზიარებენ ექსპერტთა მოსაზრებებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:04 სთ
დასრულების დრო: 17:05 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის-,,სამა რთლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
13 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება.

მეხუთე საკითხი. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თავისუფალი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.03.2019 №68
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	თავისუფალ მეცნიერებათა ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0288 -ინტერდისციპლინური – მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240, თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინე დარჩია მიესალმა დამსწრე საზოგადობას. აღნიშნა, რომ შეფასების პროცესი იყო პოზიტიური და დასკვნაც შესაბამისად პოზიტიურია და დაამატა, რომ მათი ამოცანა იყო დაედგინათ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა განახლებულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და კლასიფიკატორთან. აღნიშნა, რომ ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტებს აქვთ ერთი რჩევა და ორი რეკომენდაცია, რომელიც იმედია პროგრამას დაეხმარება შემდგომ განვითარებაში. რჩევა მდგომარეობს იმაში, რომ დაწესებულებამ შესთავაზოს ხარისხის უზრუნველყოფაში პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის პერსონალს, რომ გარკვეული პროგრამის პროფესიული განვითარების ღონისძიება, რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება სწავლის შედეგების, კერძოდ, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპონენტის თაობაზე. რაც შეეხება რეკომენდაციას, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოყენებულ იქნას დამატებითი მექანიზმები, შეფასების არაპირდაპირი მეთოდები, როგორიც არის კურსდამთავრებულთა დიპლომი საშუალო ქულა, დასაქმების მაჩვენებლები კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, პროგრამის აღწერილობაში დაემატოს ის სწავლის შედეგები, რომლებიც აღიწერება კვალიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კრიტერიუმების შესაბამისად, რაც მიიღწევა პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების გავლის შედეგად. როგორიც არის კვლევითი განაცხადი, კრიტიკული შინაარსის აკადემიური ნაშრომი, შესავალი აკადემიურ კვლევაში და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი ანკა თაბუკაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს. აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აქვთ გათვალისწინებული და აპირებენ, როდესაც განახორციელებენ 4 წლის თავზე, რომ გამოიყენონ როგროც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. სწავლის შედეგებს რაც შეეხება, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კუთხითაც ასახავენ.
ქალბატონმა თინა ხიმშიაშვილმა დაამატა, რომ თვითონ არის არქიტექტორი და არქიტექტორის განხრით არის ექსპერტი და შეუძლია იმსჯელოს კურსდამთავრებულების შედეგებზე, რომელიც აღნიშნულ პროგრამაზე არის ძალიან წარმატებული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა დაეფიქსირებინათ მოსაზრებები.
ქალბატონმა მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ექსპერტს პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. პროგრამის სწავლის შედეგების გეგმა ითვალისწინებს მხოლოდ ლექტორის მიერ განხორციელებული შეფასების ანალიზს. ნახეთ თუ არა რეგულაცია საუნივერსიტეტო

დონეზე სწავლის შეფასების შედეგების მექანიზმის, სადაც ის არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება თუნდაც სხვა პროგრამებში ხორციელდება და ამ ეტაპზე ამ პროგრამას არ ჰქონდა. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს არ იყო კლასიკური აკრედიტაციის ვიზიტი, რომელიც ითვალისწინებდა დამატებითი საკითხების მოძიებას და კომპლექსურ შეფასებას. ექსპერტებმა იხელმძღვანელეს იმ დოკუმენტით, რაც არსებობდა და იმ მექანიზმებით, რომელიც ამ პროგრამასთან მიმართებაში იყო ან დაგეგემილი ან გამოყენებული დაწესებულების დოკუმენტაციიდან გამომდინარე. ქალბატონმა მაკამ დააზუსტა შეკითხვა, არსებობს თუ არა ზოგადად რეგულაცია საუნივერსიტეტო დონეზე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც ნათლად გამოიყენებენ, როგორც პირდაპირ მეთოდებს, ასევე არაპირდაპირ მეთოდებს, რასაც, ქალბატონი ირინა გულისხმობდა. რაზეც ანკა თაბუკაშვილმა უპასუხა, რომ მათ აქვთ შემუშავებული სწავლის შედეგების მექანიზმი, რომელიც უკლებლივ ყველა პროგრამაზე სამივე დონეზე თანაბრად გამოიყენება. ასევე, ამ მექანიზმზე დაფუძნებით აქვთ ხოლმე შემუშავებული კონკრეტულად სწავლის შედეგების შეფასების გეგემა, რომელიც უშუალოდ სწავლის შედეგებზე არის მორგებული. ეს მექანიზმი ითვალისწინებს, როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. თუმცა აღნიშნული შეფასების ფარგლებში დაწესებულების მხრიდან შესაბამისი დოკუმენტაცია არ ყოფილა წარმოდგენილი. ასევე, დაამატა, რომ არაერთხელ ყოფილა მექანიზმი შეფასებული სხვადასხვა აკრედიტაციის თუ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:32 სთ
დასრულების დრო: 17:54 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,თავისუფალი მეცნიერებების"საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 0
წინააღმდეგი 13
გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,თავისუფალი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.
დაწესებულებას განესაზღვრა **რეკომენდაციები:**

1. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოყენებულ იქნას დამატებითი მექანიზმები, შეფასების არაპირდაპირი მეთოდებიც, მაგალითად, კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულის და დასაქმების მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა და მათ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და სხვ.
2. პროგრამის აღწერილობაში სწავლის შედეგებს დაემატოს ის სწავლის შედეგები, რომლებიც აღიწერება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კრიტერიუმის შესაბამისად და რომლებიც მიიღწევა პროგრამაში წარმოდგენილი ცალკეული სასწავლო კურსების გავლის შედეგად (მაგალითად, კვლევითი წინადადება, კრიტიკული შინაარსის აკადემიური ნაშრომი, შესავალი აკადემიურ კვლევაში და სხვ.).

რჩევა

1. დაწესებულებამ შესთავაზოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმხორციელებელ პერსონალს პროფესიული განვითარების ღონისძიება, რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება სწავლის შედეგების, კერძოდ, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპონენტის თაობაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა